NATIONAL FOOD AGENCY
Digitally signed by NATIONAL FOOD AGENCY
Date: 2019.05.30 12:44:43 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №248/2019

ქ. თბილისი „30„ მაისი 2019 წ.

ერთის მხრივ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს.ს.ი.პ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი იაკობაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს "ჩემი ოფისი"** (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი კახუაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება **(CPV 50323000);**

2.2. გასაწევი მომსახურების პირობები და განფასება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში** და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **350 (სამასორმოცდაათი)** ლარს.

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ, მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართეველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს;

3.4. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის გამოყოფილი სახსრები;

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი და პირობები

4.1. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2. ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე, მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით;

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირები არიან ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლოს განამახორციელებელი ჯგუფის წევრები.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება – უნაღდო, თანხა ჩაირიცხება ხელშეკრულებაში მითითებულ, შემსყიდველის საბანკო რეკვიზიტებზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1.გასწიოს მომსახურება დადგენილი ხარისხითა და სტანდარტებით

7.4.2.განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8. ხელშეკრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ სსიპ სურასათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები: **პაატა მაისაია და დავით კარტოზია;**

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

8.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

8.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. გარანტია

9.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტის და ნაკლის გამოსწორება;

9.2. მომსახურების გაწევის პროცესში შეცვლილი ნებისმიერი დეტალი უნდა იყოს ახალი და ხარისხიანი;

9.3. მომწოდებლის მიერ შეცვლილ ნაწილებზე, სწორი ექსპლუატაციის პირობებში, უნდა მოქმედებდეს საგარანტიო ვადა - არანაკლებ 6 თვე;

9.4. თუ საგარანტიო ვადის გასვლამდე, სწორი ექსპლუატაციის პირობებში, შეცვლილ სათადარიგო დეტალებს აღმოაჩნდებათ დეფექტი, ნაკლის აღმოფხვრის მიზნით შემსყიდველი მიმართავს (ელექტრონული ფოსტით) მიმწოდებელს, რომელიც აღმოჩენილ ნაკლოვანებას აღმოფხვრის უსასყიდლოდ, ზემოხსენებული შეტყობინებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

9.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ნაკლის აღმოფხრვა, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ნებისმიერ ორგანიზაციას აღმოფხვრას ნაკლოვანება, რომლის თანხის ანაზღაურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისავის

10.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით გაწეული მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

10.2. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე;

10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ოდენობით;

10.4. თუ ხელშეკრულების 10.1. და 10.2. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

10.5. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

დანართი №1

მომსახურების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ღირებულება სულ
პორტაბელური პრინტერების hp officejet 202 mobile და hp officejet 202 mobile დიაგნოსტირება	7	14.00	98.00
პორტაბელური პრინტერების hp officejet 202 mobile და hp officejet 202 mobile შეკეთება	6	42.00	252.00
სულ			350.00

შემსყიდველი	მომწოდებელი
ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო	შ.პ.ს. "ჩემი ოფისი"
ს.კ. – 205 142 200 თბილისი, მარშალ გელოვანის № 6 სახელმწიფო ხაზინა ანგ. № 200122900 კოდი: TRESGE22	ს.კ. – 401997112 ქ. თბილისი, ბელიაშვილის N9 მომსახურე ბანკი: ს.ს. "პროკრედიტ ბანკი" ბ.კ. –MiBGGE22 ა.ა. – GE61PC0133600100065770
სააგენტოს უფროსის მ.შ. გიორგი იაკობაშვილი _____	დირექტორი _____ გიორგი კახუაშვილი

LTD my office

Digitally signed by LTD my office
Date: 2019.05.30 12:34:33 +04'00'

12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

13.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განხლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრლებისთანავე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება მოქმედებს ხელმოწერის მომენტიდან და ძალაში 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად.

შემსყიდველი	მომწოდებელი
ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო	**შ.პ.ს. "ჩემი ოფისი"**
ს.კ. – 205 142 200 თბილისი, მარშალ გელოვანის № 6 სახელმწიფო ხაზინა ანგ. № 200122900 კოდი: TRESGE22	ს.კ. – 401997112 ქ. თბილისი, ბელიაშვილის N9 მომსახურე ბანკი: ს.ს. "პროკრედიტ ბანკი" ბ.კ. –MiBGGE22 ა.ა. – GE61PC0133600100065770
სააგენტოს უფროსის მ.შ. გიორგი იაკობაშვილი _____	**დირექტორი** გიორგი კაბუაშვილი _____

LTD my office

Digitally signed by LTD my office
Date: 2019.05.30 12:34:56 +04'00'

მოამზადა: სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

შეთანხმებულია: საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი